საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მაჩვენებლები
2020/2021

02.03.2021

www.geostat.ge

02.03.2021

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მაჩვენებლები

(2020/2021 სასწავლო წელი)

2020-2021 სასწავლო წლის დასაწყისისთვის, საქართველოში 64 უმაღლესი საგანმანათ-ლებლო დაწესებულება ფუნქციონირებდა, აქედან 19 სახელმწიფო და 45 კერძო. წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით, დაწესებულებათა რაოდენობა 2 ერთეულით გაიზარდა. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების 60.9% ქალაქ თბილისშია.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებუ-ლებების რაოდენობა, 2016/2017-2020/2021 სასწავლო წლებში.

დიაგრამა №1

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობა

(ერთეული)



2020/2021 სასწავლო წლის დასაწყისისთვის, საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხულია 46.7 ათასი სტუდენტი, აქედან სახელმწიფო უნივერსიტეტებში 29.3 ათასი, ხოლო კერძო უნივერსიტეტებში - 17.4 ათასი. სტუდენტთა მიღება, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით, გაიზარდა 3.4 ათასით. ზრდა ძირითადად კერძო უნივერსიტეტებზე მოდის.

02.03.2021

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია 2016/2017-2020/2021 სასწავლო წლებში სტუდენტების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მიღების მაჩვენებლები.

დიაგრამა №2

სტუდენტების მიღება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში

(ათასი)



საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სტუდენტთა რიცხოვნობამ 157.3 ათასი შეადგინა, რაც წინა სასწავლო წელთან შედარებით 5.7%-ით მეტია. სახელმწიფო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლობს სტუდენტთა საერთო რიცხოვნობის 63.9%, ხოლო კერძოში - 36.1%. სტუდენტთა საერთო რიცხოვნობიდან 50.9% ქალია, ხოლო 49.1% - კაცი.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სტუდენტების რიცხოვნობა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, 2016/2017-2020/2021 სასწავლო წლებში.

დიაგრამა №3

სტუდენტთა რიცხოვნობა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში

(ათასი)



2020 წელს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება დაამთავრა 23.5 ათასმა სტუდენტმა, რაც წინა წელთან შედარებით 5.1%-ით ნაკლებია. კურსდამთავრებულებიდან 57.4% არის ქალი, ხოლო 42.6% - კაცი. სახელმწიფო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში კურსდამთავრებულთა რიცხოვნობა 2.2-ჯერ აღემატება კერძო უნივერსიტეტების კურსდამთავრებულების რიცხოვნობას.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია კურსდამთავრებულთა რიცხოვნობა უმაღლესი განათლებით, 2016-2020 წლებში.

დიაგრამა №4

კურსდამთავრებულთა რიცხოვნობა უმაღლესი განათლებით

(ათასი)



2020-2021 სასწავლო წელს სტუდენტების უდიდესი ნაწილი (16.3%) მოდის 20 წლის ასაკის სტუდენტებზე.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სტუდენტების რიცხოვნობა ასაკის მიხედვით, 2019/2020-2020/2021 სასწავლო წლებში.

02.03.2021

დიაგრამა №5

სტუდენტების რიცხოვნობა ასაკის მიხედვით

(ათასი)



2020/2021 სასწავლო წლის დასაწყისისთვის, საზღვარგარეთ სასწავლებლად გაიგზავნა 289 სტუდენტი, რაც 367 სტუდენტით ნაკლებია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით. სახელმწიფო უნივერსიტეტებიდან გაგზავნილი სტუდენტების რიცხოვნობა 1.7-ჯერ აღემატება კერძო უნივერსიტეტებიდან გაგზავნილ სტუდენტთა რიცხოვნობას.

უცხოელ სტუდენტთა რიცხოვნობამ, საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, 14.6 ათასი შეადგინა, რაც 9.7%-ით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია საზღვარგარეთ სტუდენტთა გაგზავნის და საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში უცხოელ სტუდენტთა რიცხოვნობის მაჩვენებლები 2020/2021 სასწავლო წელს.

დიაგრამა №6

სტუდენტთა გაგზავნა საზღვარგარეთ და უცხოელ სტუდენტთა რიცხოვნობა

(2020-2021 სასწავლო წელი, კაცი)



უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში დასაქმებულია 9.8 ათასი პროფესორ-მასწავლებელი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 1.0%-ით ნაკლებია. პროფესორ-მასწავლებელთა 55.3% არის ქალი, ხოლო 44.7% - კაცი. მათი უდიდესი ნაწილი, 39.2% არის ასოცირებული პროფესორი.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია პროფესორ-მასწავლებელთა რიცხოვნობა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში 2020/2021 სასწავლო წელს.

დიაგრამა №7

პროფესორ-მასწავლებელთა რიცხოვნობა
უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში
(2020-2021 სასწავლო წელი, კაცი)



2020 წლის მონაცემებით, სადოქტორო პროგრამებს ახორციელებდა 32 უნივერსიტეტი (2019 წელთან შედარებით არ შეცვლილა). აღნიშნულ უნივერსიტეტებში მიღებული დოქტორანტების რიცხოვნობა, წინა წელთან შედარებით, 20.6%-ით შემცირდა და 1 050 პირი შეადგინა. მცირედით გაიზარდა დოქტორანტების საერთო რიცხოვნობა (ძირითადად შეჩერებული სტატუსების აღდგენის შედეგად) და 4 010 შეადგინა, რაც 0.9%-ით აღემატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია დოქტორანტების განაწილება სადოქტორო პროგრამების მიხედვით, 2020 წელს.

ცხრილი №1

დოქტორანტების განაწილება სადოქტორო პროგრამების მიხედვით

(2020 წელი)

	რიცხოვნობა	%
დოქტორანტები, სულ	**4 010**	**100.0**
მათ შორის:		
განათლება	61	1.5
ჰუმანიტარული მეცნიერებები და ხელოვნება	598	14.9
სოციალური მეცნიერებები, ბიზნესი და სამართალი	1 841	45.9
მეცნიერება	497	12.4
საინჟინრო, დამამუშავებელი და სამშენებლო დარგები	388	9.7
სოფლის მეურნეობა	124	3.1
ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	447	11.1
მომსახურება	54	1.3

2020 წელს სადოქტორო პროგრამებზე მიღებულთა რიცხოვნობის ზრდა ჰუმანიტარული მეცნიერებებისა და ხელოვნების პროგრამაზე დაფიქსირდა. 2020 წელს აღნიშნულ პროგრამაზე, როგორც მიღებულ დოქტორანტთა (109), ისე კურსდამთავრებულთა (47) უმეტესობა ქალია.

წინა წელთან შედარებით, კურსდამთავრებული დოქტორანტების რიცხოვნობა შემცირდა და 347 პირი შეადგინა. თუმცა, ზრდა აღინიშნა განათლებისა და სოფლის მეურნეობის სადოქტორო პროგრამებზე.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია დოქტორანტურის კურსდამთავრებულთა განაწილება პროგრამების მიხედვით, 2020 წელს.

დიაგრამა №8

დოქტორანტურის კურსდამთავრებულთა განაწილება
პროგრამების მიხედვით, 2020 წელს



2020 წელს კურსდამთავრებულ დოქტორანტთა საერთო რიცხოვნობიდან 57.1% ქალია, ხოლო 42.9% - კაცი.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია დოქტორანტურის კურსდამთავრებულთა რიცხოვნობა სადოქტორო პროგრამების მიხედვით სქესობრივ ჭრილში, 2020 წელს.

ცხრილი №2

დოქტორანტურის კურსდამთავრებულთა განაწილება სქესის მიხედვით, 2020 წელს

(კაცი)

	ქალი	კაცი
კურსდამთავრებულები, სულ	**198**	**149**
მათ შორის:		
განათლება	9	2
ჰუმანიტარული მეცნიერებები და ხელოვნება	47	10
სოციალური მეცნიერებები, ბიზნესი და სამართალი	80	79
მეცნიერება	26	18
საინჟინრო, დამამუშავებელი და სამშენებლო დარგები	8	12
სოფლის მეურნეობა	5	7
ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	23	10
მომსახურება	-	11

ზრდა აღინიშნა დოქტორანტების სამეცნიერო ხელმძღვანელების რიცხოვნობაში, რაც განპირობებულია დოქტორანტების რაოდენობის ზრდით. ამასთან, რიგ შემთხვევებში დოქტორანტს ყავს 2 ხელმძღვანელი: ქართველი და უცხოელი.

2020 წელს, ისევე როგორც წინა წლებში, ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, დოქტორანტთა საერთო რიცხოვნობიდან დიდი ნაწილი მოდის 35 წლის და უფროს ასაკობრივ ჯგუფზე.

2020 წელს შემცირებულია უცხოელი დოქტორანტების რიცხოვნობა. უცხოელი დოქტორანტებიდან 56.3% კაცია, ხოლო 43.7% ქალი.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია უცხოელი დოქტორანტების რიცხოვნობა სქესის მიხედვით, 2019-2020 წლებში.

დიაგრამა №9

უცხოელი დოქტორანტების რიცხოვნობა სქესის მიხედვით

(კაცი)



02.03.2021

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მაჩვენებლები
(2020 წელი)

2020 წლის ბოლოსთვის, საქართველოში ფუნქციონირებდა 92 საგანმანათლებლო დაწესებულება (აქედან 40 საჯარო, ხოლო 52 კერძო), რომლებიც ახორციელებდნენ სტუდენტების მიღებას პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე.

2020 წელს ჩარიცხულია 9 399 სტუდენტი, რომელთაგან 49.8 % ქალია, ხოლო 50.2 % - კაცი. 2019 წელთან შედარებით სტუდენტების მიღება შემცირებულია 18.5 %-ით.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია ჩარიცხული სტუდენტების განაწილება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით, 2020 წელს.

დიაგრამა №10

ჩარიცხული სტუდენტების განაწილება პროგრამების მიხედვით, 2020 წელს



რაც შეეხება მონაცემებს რეგიონების მიხედვით, ჩარიცხული სტუდენტების მიხედვით ლიდერობს ქ. თბილისი (38.9 %), რომელსაც მოსდევს აჭარა (17.2 %), იმერეთი (9.4 %), სამეგრელო-ზემო სვანეთი (7.4 %), ქვემო ქართლი (6.1 %) და კახეთი (6.0%).

02.03.2021

2020 წელს, კურსდამთავრებულთა რიცხოვნობამ შეადგინა 3 424 სტუდენტი, რომელთაგან 51.2% ქალია და 48.8% კაცი. კურსდამთავრებულთა უმეტესობა მოდის ჯანდაცვის (23.3%), ინჟინერიის (14.0%) და ინჟინერია, წარმოება და მშენებლობის (13.5%) პროგრამებზე.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია კურსდამთავრებულთა განაწილება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით, 2020 წელს.

დიაგრამა №11

კურსდამთავრებულთა განაწილება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით, 2020 წელს



ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია კურსდამთავრებულთა განაწილება რეგიონების მიხედვით, 2020 წელს.

დიაგრამა №12

კურსდამთავრებულთა განაწილება რეგიონების მიხედვით, 2020 წელს



საკონტაქტო პირები:

ვასილ წაქაძე
ტელ: (+995 32) 236 72 10 (600). E-mail: vtsakadze@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი
ტელ.: (+995 32) 236 72 10 (020). E-mail: mkavelasvili@geostat.ge